საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/87 "26" ივნისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

გ. ფუტკარაძის ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის №1/35 განკარგულებით ინიცირებულ იქნა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ სასამართლოში მოსამართლის 4 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 1 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 1 - ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გოჩა ფუტკარაძის განაცხადი. გ. ფუტკარაძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 17-წლიანი გამოცდილება. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა შუახევის რაიონულ, ვანის რაიონულ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში. მისი სამოსამართლო სტაჟისა და გამოცდილების გათვალისწინებით, მას აქვს უნარი გააგრძელოს მუშაობა ნებისმიერი სირთულისა და დატვირთვის პირობებში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, გოჩა ფუტკარაძე გათავისუფლდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ, 2020 წლის 1 ივლისიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი